# ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

**საკრებულოს წევრი-ტარიელ ტაბატაძე**

**არჩევის წესი-მაჟორიტარული ანდრიაწმინდის ადმინისტრაციული ერთეული**

**საანგარიშო პერიოდი 30.10.2025-01.10.2026 წელი.**

**თანამდებობა ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე.**

ამავდროულად ვარ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის ასევე სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიების წევრი.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებული 17 საკრებულოს სხდომიდან დასწრებული ვარ 16 სხდომას. სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას ჩატარებული აქვს 10 სხდომა დასწრებული ვარ 9 სხდომას, ხოლო სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიას ჩატარებული აქვს 3 სხდომა დასწრებული ვარ 2 სხდომას. ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“-ს ჩატარებული აქვს 3 სხდომა დასწრებული ვარ 3 სხდომას. საანგარიშო პერიოდში მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხებია:

1. ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის და 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცება.
2. ახალციხის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დამტკიცება.
3. ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 12 იანვრის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის დამტკიცება.
4. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ახალციხის მუნიციპალიტეტში 2026 წელს დასაფინანსებელი პროექტების მიზნით მომზადებული წინადადებების მოწონება.
5. ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცება.
6. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევა.
7. ახალციხის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტში ცვლილებების შეტანა.

მოსახლეობასთან შეხვედრები ხორციელდება სისტემარუად, როგორც სამუშაო ადგილზე ასევე გასვლით შეხვედრებზეც. მოსახლეობის მხრიდან ძირითადად ხდება სოციალური და ინფრასტუქტურული საკითხების დასახელება. კერძოდ:

1. სოფ ანდრიაწმინდაში შიდა გზების მოწესრიგება.
2. სოფ ანდრიაწმინდაში გარე-განათების ახალი წერტილების მოწყობა.
3. სოფ ახალშენში შიდაგზების მოწყობა, მრავალ საცხოვრებიანი ბინების კაპიტალური გარემონტება, მინი სტადიონის მოწყობა და სანიაღვრე არხების მოწყობა.
4. სოფ ანდაში მისასვლელი გზის მოწყობა (ბეტონის)
5. სოფ წყორძაში შიდა გზების მოწყობა, სასმელი წყლის გამანაწილებლი შეცვლა, ასევე სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის რეაბილიტაცია.

მოსახლეობის მიერ დასახელებული პრობლემებიდან სოფ ანდრიაწმინდაში ნაწილობრივ მოწესრიგდა შიდა გზა, ასევე რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფ ანდრიაწმინდის მთის გზას, სოფ ანდრიაწმინდის მთაში არსებულ ეკლესიაში მოხდა სასმელი წყლის შეყვანა, სოფლის პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს ბეტონის საფარით შიდა გზის მოწყობა. სოფ ანდრიაწმინდის ადმინისტრაციულ შენობაში სადაც განთავსებულია საბავშვო ბაღი და ამბულატორია შეყვანილ იქნა სასმელი წყალი. სოფ წყორძაში სოფლის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ე.წ ზედაუბანში ბეტონის გზის მოწყობა. არსებული პრობლემების მოგვარების მიზნით მაქვს სისტემატიურიური კომუნიკაცია მერიის შესაბამის სამსახურებთან.

ტარიელ ტაბატაძე

შევსების თარიღი 29.10.2026. წ.

30.10.2026წ